საქართველოს როლი სამშვიდობო მისიებში

უკიდეგანო სივრცეში გამოკიდებულ ჭრელ ბურთზე, 225 ქვეყანას უწევს თანაცხოვრება. ყველას თავისი ისტორია და ამბიციები აქვს. ქვეყნები ერთმანეთისგან ადამიანების მსგავსად განსხვავდებიან. ზოგი ძლიერია, ზოგი ძალიან დიდია, ზოგსაც ბევრი მოსახლე ჰყავს. სიცოცხლის დაწყებიდან დღემდე ერთ პლანეტაზე თანაცხოვრება ქვეყნებისთვის, არც ისე მარტივი აღმოჩნდა. განსხვავებული კულტურის, წეს-ჩვეულებების, რელიგიისა და წარმომავლობის ადამიანები გრძედებისა და განედების მიხედვით გადანაწილდნენ. საკუთარი ტერიტორიების გადანაწილება კი უხსოვარი დროიდან ომების ხარჯზე ხდებოდა. ქვეყნებს შორის დომინანტობის სურვილი არცერთ ეპოქაში არ განელებულა. ამ სტატუსს ყველა დიდი ქვეყანა, ძალის გამოყენების ხარჯზე ინაწილებდა.

მეორე მსოფლიო ომით შეშინებულმა მსოფლიომ პირი შეკრა. შეიკრნენ მაშინდელი მთავარი საფრთხის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ცხადი იყო, რომ გამარჯვებულმა საბჭოთა კავშირმა ევროპაში ფაშისტური დიქტატურის ჩანაცვლება არანაკლებ საფრთხის შემცველი კომუნისტური დიქტატურით განიზრახა. 5 ქვეყნის წარმომადგენლები მოლაპარაკების მაგიდაზე დასხდნენ. ილაპარაკეს, იმსჯელეს და შექმნეს N A T O. შეიქმნა უსაფრთხოების ერთიანი სისტემა, რომელიც ალიანსში შემავალი თორმეტი წევრი ქვეყნის მჭიდრო თანამშრომლობასა და საერთო ფასეულობებს ეფუძნებოდა. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ნახევარი საუკუნის წინ შეიქმნა. შექმნის დღიდან მისი მთავარი ამოცანა წევრი სახელმწიფოების თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. ნატოს დაარსებიდან დღემდე ორგანიზაციამ, არაერთი ცვლილება, ახალ გამოწვევებსა და საფრთხეებზე ადეკვატურობის მიზნით განიცადა. ერთ-ერთი ასეთი უმნიშვნელოვანესი ცვლილება, სამშვიდობო ოპერაციებსა და კრიზისების რეგულირების პროცესში ჩართვის გადაწყვეტილება გახლავთ. განურჩევლად კონფლიქტის გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა, ალიანსი აღიარებს რომ, საფრთხე აღარ არის შეზღუდული რომელიმე კონკრეტული ლოკაციით და მზად არის გამოეხმაუროს მას, რა დროს და საიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს ის. პირველი სამშვიდობო ოპერაციები ჩრდილო ატლანტიკურმა ალიანსმა მეოცე საუკუნის 90-იან წლებში განახორციელა. კერძოდ, ბალკანეთში(ბოსნია ჰერცოგოვინაში 1995 წელს, კოსოვოში 1999 წელს, მაკედონიაში კი 2001 წელს.) სადაც იუგოსლავიის სოციალისტურ-ფედერალური რესპუბლიკის დაშლის სისხლიანმა კონფლიქტმა სერიოზული საშიშროება წარმოშვა არა მხოლოდ რეგიონული, არამედ საერთო ევროპული

უსაფრთხოებისთვის.

2003 წელს ავღანეთში ნატოს მისიით ალიანსმა დაამტკიცა, რომ მას აქვს უნარი გაუმკლავდეს პრობლემებს არა მხოლოდ მისი ტრადიციული პასუხისმგებლობის-ევროატლანტიკურ სივრცეში, არამედ მის მიღმაც. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა არც ალიანსის წევრი და არც კანდიდატი ქვეყანა არ არის, პლანეტაზე მშვიდობის დასამყარებელ მისიებში მაინც აქტიურად მონაწილეობს. საქართველოს თავდაცვის ძალები ნატოს პირველივე სამშვიდობო მისიაში- ''კოსოვოს ძალები''(KFOR), 1999 წლის 31 აგვისტოს ჩაერთო. მისია კოსოვოში საომარი მოქმედებების განახლების აღკვეთას, საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარებისა და კოსოვოში გაეროს დროებითი ადმინისტრაციული მისიის მუშაობის ხელშეწყობას ითვალისწინებდა. საქართველოს თავდაცვის ძალებმა კოსოვოში მისია, 2008 წელს, უდანაკარგოდ, ოცეულის 17 და ასეულის 11 როტაციით დაასრულეს. ქართველი სამხედროები 2003-2008 წლებში ერაყის სამშვიდობო მისიებშიც მონაწილეობდნენ. ქართველი ქვედანაყოფების ძირითად ამოცანებს სრული სპექტრის ოპერაციები, საკვანძო ობიექტების დაცვა, პატრულირება/ ჩხრეკა, საკონტროლო გამშვები პუნქტის ოპერაციები, საინჟინრო უსაფრთხოების ოპერაციები, სამხედრო ჰოსპიტალის დახმარება და ესკორტირება წარმოადგენდა.

ერაყში 2 200 ქართველი სამხედრო მსახურობდა, რითაც საქართველო მისიაში სამხედრო მოსამსახურეთა რიცხოვნობით მესამე კონტრიბუტორი ქვეყანა გახდა. საერთო ჯამში ერაყში განხორციელებული სამშვიდობო მისიის ვადებში 19 როტაციის ფარგლებში 8 495 სამხედრომ მიიღო მონაწილეობა. აქედან სამი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, ხოლო 19 კი დაშავდა. ქართველი ქვედანაყოფები სამშობლოში რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაბრუნდნენ, რითაც საქართველოს თავდაცვის ძალების მისია ერაყში დასრულდა. ყველაზე ფართო მასშტაბიანი, ქართველი ჯარისკაცებისთვის ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში მიმდინარე ნატოს საერთაშორისო მისია აღმოჩნდა. ქართველი სამხედროები ''საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების'' შემადგენლობაში 2004 წელს ჩაერთვნენ. ქართული გაძლიერებული ოცეულის ამოცანას ავღანეთის საპრეზიდენტო არჩევნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენდა.

2015 წლის 1 იანვრიდან დღემდე, ავღანეთში ნატო-ს ''მტკიცე მხარდაჭერის მისია'' მიმდინარეობს. ეს მისია მიზნად ისახავს ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალების გაძლიერების ხელშეწყობას, რათა ავღანეთმა თავად შეძლოს მის ტერიტორიაზე მდგომარეობის სრულად და ეფექტურად გაკონტროლება. ამ მისიაში მონაწილეობის მიზნით ქართველი სამხედროები ოთხი თვის განმავლობაში, ინტენსიურ გადასროლის წინა მომზადებას გადიან, რომელსაც ა.შ.შ-ს საზღვაო ქვეითთა კორპუსის ინსტრუქტორთა ჯგუფი ხელმძღვანელობს. ამასთან ერთად, ქართული კონტიგენტი ამოცანაზე ორიენტირებულ სწავლებას გერმანიაში, ქალაქ ჰოჰენფელსში, ერთი თვის განმავლობაში გადის, სადაც ბატალიონის მომზადების დონის შეფასება ხორციელდება. 2004 წლიდან დღემდე, სხვადასხვა დონეზე ჩატარებული 107 როტაციის ფარგლებში(ISAF,RSM), ავღანეთში განხორციელებულ საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა 20 ათასზე მეტმა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო. საქართველოს თავდაცვის ძალებმა, ავღანეთში მიმდინარე საერთაშორისო მისიებში მძიმე დანაკლისი

განიცადა. საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას საქართველოს თავდაცვის ძალების 32 სამხედრო მოსამსახურე შეეწირა, რამდენიმე ასეული დაიჭრა და დაშავდა. საქართველო სამშვიდობო მისიებს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაშიც ასრულებს. სამხედროები 2014, 2015, 2016 და 2017 წლებში ევროკავშირის მიერ განხორციელებულ მისიებში უკლებლივ მონაწილეობდნენ. საქართველო ასევე აქტიურადაა ჩართული მალის სამშვიდობო მისიებში. 2016 წლიდან ჩვენი ქვეყანა მოკავშირე ოფიცრის პოზიციაზეა წარმოდგენილი. 2019 წლის ნოემბერში, EUTM MALI-ში მე-8 როტაცია განხორციელდა, მეკავშირე ოფიცერი მალიში მიმდინარე მისიაში მის დასრულებამდე დარჩება. არც ტერიტორიული მასშტაბით, არც მოსახლეობის რაოდენობით გამორჩეული საქართველო შესამჩნევ და მნიშვნელოვან როლს ასრულებს პლანეტაზე მშვიდობის დასამყარებლად.

ავტორი: ნეკა ბერძენიშვილი